

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტი დამუშავებულია 11.02.2016 წ-ის #14 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც დადებულია ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მეორე მხრივ ი/მ „ვახტანგ ლონდარიძე“-ს შორის და ითვალისწინებს სოფელ ახალდაბაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას. კერძოდ სასმელი წყლის მიღება გათვალისწინებულია სოფლის სიახლოვეს არსებული გრუნტის წყლებით მილიანი ჭის (ჭაბურღილის) საშუალებით. ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს სამარაგო რეზერვუარის (მოცულობით 10მ3) და არსებული შიდაქსელის დაზიანებული მონაკვეთების რემონტს.

ყოველივე აქედან გამომდინარე ი/მ „ვახტანგ ლონდარიძე“-ს საპროექტო სამუშაო ჯგუფმა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და სოფ. ახალდაბის ხელმძღვანელობასთან ერთად მოახდინა ობიექტის დათვალიერება ვიზუალურად. მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ასევე ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება არსებული დაფინანსების ფარგლებში მოხდეს სოფლის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად სათანადო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2016 წლის თებერვლის თვეში, ი/მ „ვახტანგ ლონდარიძე“-ს საპროექტო სამუშაო ჯგუფმა: ჰიდროგეოლოგ ვ. მაღლაფერიძის ინჟინერ ჰიდროტექნიკოსი ვ. ლონდარიძე, სპეციალისტები მ. მეკოვიშვილი და გ. ლონდარიძე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში სოფლის წყალშემკრები რეზერვუარისა მის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარა თემატური და ვიზუალური ჰიდროგეოლოგიური კვლევები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა:

- საპროექტო ჭაბურღილის სამშენებლო მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა;
- საპროექტო ჭაბურღილის მშენებლობის გეოლოგიურ-ტექნიკური პირობების დადგენა.

სამშენებლო მოედნის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთი ჭაბურღილის მშენებლობა, სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო წყლის მიღების პირობებით.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, პირველ რიგში ჩატარდა საკვლევო ტერიტორიისა და მოსაზღვრე უბნების რეკოგნოსციონებითი სამუშაოები; მოძიებული და შესწავლილ იქნა სამშენებლო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების ჰიდროგეოლოგიური პირობების ამსახველი ფონდური გეოლოგიური და ლიტერატურული მასალები.

ქვემოთ მოცემულია შესრულებული სამუშაოების სახეები:

-სამშენებლო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების ვიზუალური დათვალიერება-რეკოგნოსციონება;

-ფონდური გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მასალების მოძიება და დამუშავება;

-ჰიდროგეოლოგიური დასკვნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, საველე საკვლევ-საძიებო მასალების და არსებული საარქივო მასალების (მონაცემების) საფუძველზე.

საპროექტო ორგანიზაციის მიერ კონკრეტულ რაიონში მოძიებული იქნა არსებული სამშენებლო მასალების სავაჭრო პუნქტები, სადაც დადგინდა ყველა იმ სამშენებლო მასალების სავარაუდო ფასები, რომლებიც საჭიროა აღნიშნული წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ასევე დაზუსტდა სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილები და გაირკვა არსებული ერთჯერადი მომსახურების შრომითი ანაზღაურების საბაზრო ფასები.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში არის წინასწარი საორიენტაციო ღირებულება და არ წარმოადგენს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორების დოკუმენტს, მათ შორის ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით.

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია ავტომატიზირებული საპროექტო პროგრამების დახმარებით და გამოყენებულია ასევე სხვადასხვა ტექნიკური ლიტერატურა და წინა წლების საპროექტო მასალები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. СНиП IV-2-82 სამშენებლო სამუშაოებზე სახარჯთაღრიცხვო ნორმების და ფასების კრებული
2. სამშენებლო ნორმების ფასები 2016 წლის I-კვარტლის დონეზე
3. მეთოდური მითითებები
4. არსებული საბაზრო ფასები

შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები იხ. სამუშაოს მოცულობათა უწყისში